საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №805
2022 წლის 1 თებერვალი

ქ. თბილისი

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^2 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა (დანართი №1), სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმ დასახლებებში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებებში), სადაც სანოტარო მომსახურება 2022 წელს სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული ოდენობის ნოტარიუსთა დასანიშნად.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**

დანართი №1

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა,

სადაც 2022 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2022 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა	შენიშვნა
1	ქედა	1	მაღალმთიანი დასახლება
2	ხობი	1	
3	ლენტეხი	1	მაღალმთიანი დასახლება
4	წყალტუბო	1	
5	ახმეტა	1	
6	ამბროლაური	1	მაღალმთიანი დასახლება
7	თიანეთი	1	მაღალმთიანი დასახლება
8	დედოფლისწყარო	1	

9	ონი	1	მაღალმთიანი დასახლება
10	დუშეთი	1	
11	ზესტაფონი	1	
12	სოფ. რუხი	1	